

# დათო ტურაშვიდი

ტიბეტის არ არის შორს



სულაკაურის  
განმანათლებლობის  
ფონდი

## შინაარსი

დასაწყისი.....	7
რატომ არ სჯერა მოსკოვს ცრემლებს .....	10
თუმცა.....	14
თვითმფრინავი.....	18
მარიშა.....	22
ბაყრა .....	30
ბამოყრა.....	40
ბაყრა-ბამოყრა.....	46
ისევ მარიშა.....	54
საზღვარი.....	69
ჰიმალია.....	82
მეორე ღამე.....	90
WISH YOU WERE HERE .....	99
მუცო და შატილი .....	113
დედაქალაქი.....	124
დალანი-ღამა.....	137
პოტალა .....	145
ისევ კატმანდუ.....	150

პირველი, ვინც ქართველ მწერლებს შორის ტიბეტი ახსენა, მგონი, შოთა რუსთაველი იყო, მაგრამ ტიბეტისადმი ინტერესი საქართველოში ალბათ მანამდეც არსებობდა, სანამ „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერებოდა.

თუმცა ჩვენი მოკრძალებული მიზანი არა ზემოთქმულის კვლევა, არამედ მკითხველისთვის იმ ზღაპრული ქვეყნის გაცნობაა, სადაც ქართულ კინოექსპედიციასთან ერთად 2054 წელს ვიმოგზაურე.

## დასაწყისი

პირველად იყო ტიბეტი, როგორც შორეულზე შორეული ოცნება – ჯერ მხოლოდ შემთხვევით ამოკითხული ბავშვობის წიგნებში, მერე კი მონდომებით შესწავლილი იმავე წიგნებიდან.

რადგან ბავშვობის ყველა სასწაული წიგნებიდან იწყებოდა კიდევ, მერე ინტერესთან ერთად დაიბადა სურვილიც – საკუთარი თვალით მენახა სასწაული, რომელსაც ტიბეტი ჰქვია.

მერე ეს სურვილი უზარმაზარ მოთხოვნაში გადაიზარდა, როგორც მოსალოდნელი იყო და სერიოზულად დავინწყეთ იმაზე ფიქრი, როგორ გვექცია ოცნება ახდენილ ოცნებად. ოცნების ახდენას კი სჭირდებოდა ფინანსური მინიმუმი მაინც და ამიტომაც გაჩნდა ფილმის გადაღების იდეა, რომელსაც ყველაზე მეტად ბატონმა რეზო ჩხეიძემ დაუჭირა მხა-

რი და უპირველესი მადლობაც სწორედ მას ეკუთვნის.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები გამგზავრებამდე, ბოლო დღემდეც მრავლად გვექონდა, პირველი ქართული კინოექსპედიცია ტიბეტში მაინც შედგა და ჩვენმა ჯგუფმა (რეჟისორი – გიო მგელაძე, ოპერატორი – გიორგი ბერიძე, სცენარისტი – რეზო თაბუკაშვილი) უნიკალური მასალების მოძიება და გადაღებაც კი შეძლო. თუმცა გზა წარმატებამდე იყო გრძელი და რთული, ექსპედიციას კი ჩაშლის საფრთხე მოსკოვში ჩასვლისთანავე დაემუქრა.

მოსკოვიდან უნდა გავფრენილიყავით კატმანდუში და მოსკოვშივე უნდა შეგვეძინა კინოფირები კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი თანხებით, მაგრამ ფირის ფასი ზუსტად სამი დღის გაძვირებული დაგვხვდა ყველა მაღაზიაში, სადაც კი მოვიკითხეთ და უკან დასაბრუნებელი გზაც უბრალოდ აღარ გვექონდა. რამდენჯერაც ვიანგარიშეთ ჩვენი ფულადი შესაძლებლობები, იმდენჯერ დავრწმუნდით, რომ ფინანსურად საკმაოდ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ კინოფირების გარეშე ტიბეტში გამგზავრებას რა

აზრი ჰქონდა და გაძვირებული, მაგრამ მაინც შეძენილი ფირით დამძიმებული ჩვენი ბარგი საგულდაგულოდ შევკარით. კინოკამერაც საგულდაგულოდ დავშალეთ და ზურგჩანთაში გადავმალეთ, რადგან მოსკოვურ საბაჟოსთან ურთიერთობის საკმაოდ მწარე გამოცდილება უკვე გვქონდა სამნუხარო შედეგებით და როგორც წესი, თუ ცუდი მებაჟე შეგხვდა, მის ცივ გულს ვერანაირი ხვეწნა და თვალზე მომდგარი ცრემლი ვეღარ გააღებოდა. და საერთოდ – მოსკოვში ცრემლების არ სჯერათ...

## რატომ არ სჯერა მოსკოვს ცრემლების

კატმანდუში გაფრენამდე, საიდანაც უნდა დავ-  
დგომოდით ტიბეტის ნანატრ გზას, ხუთი დღე  
მოსკოვში გავჩერდით საბუთებისა და აუცი-  
ლებელი საგზლისათვის. ჩვენი კინოექსპედი-  
ციის ოთხივე წევრს (ჩემი ჩათვლით) ძალიანაც  
ეჩქარებოდა ჰიმალაების ნახვა, მაგრამ მოს-  
კოვს ერთი უცნაური თვისება აქვს – ადვილად  
გითრევს და ქართველების უმრავლესობა,  
როგორც ცნობილია, ჩათრევას ისევ ჩაყოლას  
ამჯობინებს. თუმცა ზემოთქმული მხოლოდ  
ქართველ კაცებს ეხებათ და არა ქართველ ქა-  
ლებსაც, რადგან ქართველმა ქალებმა რუსი  
ქალები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში შე-  
იძულეს – როცა ვახტანგ მეექვსეს ათას ორასი  
რჩეული ქართველი მამაკაცი მოსკოვში გაჰყვა

და უკან არც ერთი აღარ დაბრუნებულა. ად-  
ვილი წარმოსადგენია, მეთვრამეტე საუკუნის  
მოსკოვში, მდედრობითი სქესის მოსახლეობა-  
ში, რაოდენ სიხარულსა და ბედნიერებას გამო-  
იწვევდა საქართველოდან ჩასული ათას ორასი  
რჩეული მამრის დანახვა. როგორი დაუჯერებე-  
ლიც უნდა იყოს, შემდგომი, მეცხრამეტე საუ-  
კუნის რჩეული ქართველების არჩევანი რუსე-  
თის სასარგებლოდ არამხოლოდ ჩინ-მედლებმა  
და ორდენებმა განაპირობეს – სუბიექტურად  
ვეჭვობ, რომ რუს მდედრთა ფაქტორმაც გარ-  
კვეული როლი შეასრულა ამ არჩევანის გაკე-  
თებისას და ამ ვარაუდის აბსურდულობასაც,  
დარწმუნებული ვარ, უამრავი მომხრე ეყოლება  
ჩვენში. ჩემი თავხედური აზრი განსაკუთრე-  
ბით არ მოენონებათ მეოცე საუკუნის ქართველ  
მამაკაცებს, კონკრეტულად კი ჩვენი მამების  
ძვირფას თაობას – თაობას, რომელმაც შექმნა  
და მოიგონა ჩვენი დროის მოსკოვი, სადაც მათ  
აღარ ახსოვდათ არც ერთი ბოროტება, რომე-  
ლიც ამ ქალაქს უკავშირდებოდა დღიდან რუ-  
სული იმპერიალიზმის გაჩენისა და შეზარხო-  
შებულებს სრულიად აკმაყოფილებდათ რუსი  
ქალების სითბო და ალერსი. რუსი ქალების-



თვის კი, თუნდაც ორი საუკუნის შემდეგ, ჯერ კიდევ არსებობდა ლეგენდა ქართველ მამაკაცზე, რომელიც რუსეთის არმიის ჰუსართა პოლკის ქართველმა ოფიცრებმა შექმნეს.

თუმცა რუსეთის გარდა (საუკუნეების მანძილზე), ჩვენმა წინაპრებმა კიდევ მრავალი ქვეყნის სიძლიერეს შესწირეს საკუთარი ნიჭი და ენერგია, მაგრამ არსად ისე უმადურად არ მოქცევიან ქართველებს, როგორც რუსეთში და ზემოთქმულის საილუსტრაციოდ დავით გურამიშვილის თავგადასავალიც იკმარებდა. დიდმა ქართველმა პოეტმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე რუსეთის არმიას კი მოახმარა, მაგრამ სანაცვლოდ შეურაცხყოფაც მიიღო და მთელი იმ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზეც დაუზარებლად სწერდა საჩივრის წერილებს რუსეთის სამეფო კარს. დავით გურამიშვილი ითხოვდა კუთვნილი, დამსახურებული მიწის მიღებას თუნდაც შუაგულ რუსეთში, მაგრამ ამოდ და ისე მოკვდა, ის პატარა მიწაც კი არ აღირსეს რუსეთისათვის არაერთხელ დაჭრილსა და ტყვედყოფილს. პირიქით, გურამიშვილი დაასახლეს დაპყრობილი უკრაინის იმ ქაობიან ნაწილში, სადაც ყველაფერი რუსული

საშინლად სძულდათ ადამიანებს და ადვილი წარმოსადგენია, რა მწარე სიბერე ექნებოდა ქართველ პოეტს იმ უკრაინელ ნაციონალისტთა გარემოცვაში, ვისთვისაც ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი მხოლოდ და მხოლოდ რუსი დამპყრობელი იყო. რუსეთი კი სწორედ ის ქვეყანაა, სადაც რიგით ჯარისკაცს თუ ყველაზე ჭკვიან მეცნიერს (მაგალითად დიმიტრი ლიხაჩოვს), იმპერიულ საკითხთან დაკავშირებით, ზუსტად ერთნაირი აზრი აქვთ. მათი აზრით, საქართველო რუსეთის გუბერნია უნდა იყოს და როგორც არ უნდა შეეცადო საწინააღმდეგოს ან საერთოდ რაიმეს ახსნას (თუნდაც ცრემლმორეული თვალებით), აზრი არ აქვს, რადგან მოსკოვში ცრემლების მართლა არ სჯერათ.

## თუმცა

მოსკოვს მაინც ყოველთვის ჰქონდა ისეთი ცდუნება, რომელიც (ზემოთქმულის მიუხედავად) მაინც ყოველთვის იზიდავდა ქართველებს და ქართველებსაც მუდამ ავინყდებოდათ მთავარი მტერი. მთავარი ცდუნება კი მაინც ქალი იყო და რაც მოსკოვში და რუსეთში (ამ თვალსაზრისით) ხდებოდა ან შეიძლება მოხდეს, მგონი მართლა არსად ხდება.

მაგალითად:

მოსკოვში, ტიბეტში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე (სანამ ვიზებისა და საბუთების პრობლემებს ვაგვარებდით), ჩვენი პატარა სასტუმროს პატარა ოთახის კარზე მორიდებით დააკაკუნა მშვენიერმა გოგონამ და მოგვესალმა. ჩვენც გამარჯობა ვთქვით და ასე გავიცანით რუსი გოგონა, რომელმაც ის

დარჩენილი სამი დღე ჩვენთან ერთად გაატარა მოსკოვში და პირველი, რაც აღმოვაჩინეთ, იყო უცნაური რეალობა – ჩვენ ველარ ვლაპარაკობდით რუსულად და მხოლოდ ვუღიმოდით ქალს, რომელიც აუგუსტ სტრინდბერგისა და ლუკ ბესონის ფანტაზიების ერთობლივ ნაყოფს უფრო ჰგავდა. ისიც მხოლოდ გვიღიმოდა ხოლმე, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აღელვებული გიომგელაძე ფილმში გადაღებას ჰპირდებოდა მას და მისთვის მართლაც სულერთი იყო ჩვენი ყველა ცრუ და მართალი დაპირება. მას არაფერი მოუთხოვია ჩვენგან, აბსოლუტურად არაფერი და ზუსტად რა უნდოდა, ვერც დავადგინეთ. სამი დღის მანძილზე იყო ჩუმად – ჩუმად გვილაგებდა სანოლებს (ან გვისწორებდა ლოგინებს იმის მიხედვით, თუ როგორ იტყოდნენ ამ ფრაზას აკაკი და მზექალა შანიძეები), გვიდულებდა ჩაის, გვირეცხავდა წინდებს (სინამდვილეში ე.წ. „ნასკებს“, რომელიც რუსული სიტყვაა და გასაგები მიზეზების გამო, ქართული შესატყვისი არ გააჩნია), ყიდულობდა ჩვენთვის საჭირო პროდუქტებს და ასევე ჩუმად გვთხოვდა, დამატებით დაგვევალებინა რამე. იმდენად გაოგნებულები ვიყავით მისი

გამოჩენითა და საქციელით, ჩვენს აღფრთოვანებას ვერც გამოვხატავდით და ვდუმდით. ერთადერთმა, ისევ გიო მგელაძემ მოიფიქრა და მადლიერების ნიშნად მას უცნობი ფერისა და წარმოების მაისური აჩუქა. მან მადლობა გადაიხადა, მორცხვად დახარა თავი და ისევ გაიღიმა. გამახსენდა სიზმარი, რომელიც ათასჯერ მინახავს და სკოლის მერხზე მჯდარსაც ათასჯერ ამომიცნია კადრები იმ ჩემი სიზმრიდან სწორედ იმ დაფაზე, საკლასო ოთახში რომ ეკიდა. დაფა ჰგავდა კინოეკრანს, რომელზეც ადვილად შეიძლებოდა დათოვლილი რუსული სოფლის დანახვა (სადღაც ტამბოვის გუბერნიაში) და მესმოდა ფეხის ხმა – ერთადერთი სუნთქვა, რომელიც რუსული ზამთრის სიჩუმეს არღვევდა. მესმოდა მასწავლებლის ხმაც, რომელიც რუსეთის ისტორიას გვიხსნიდა, მაგრამ გამხელილ ცოდვას რა უნდა სჯობდეს და ზოგჯერ, ცალთვალა კუტუზოვზე მეტად, ორივე თვალით ჯანმრთელი, ლოყებლაჟღაჟა და რძეზე გაზრდილი მშვენიერი ქალი უფრო მაინტერესებდა, ნუთი-ნუთზე რომ შემოაღებდა ჩემი სახლის კარს...

მალვიძებდა სკოლის ზარი, რომელიც გაკ-

ვეთილის დამთავრებას გვამცნობდა ხოლმე  
და მართლა ახალგაღვიძებულივით ვტოვებდი  
საკლასო ოთახს, საიდანაც ტიბეტი ჯერ კიდევ  
ოცნებაზე შორს იყო...